




საქართველოს ინტელექტუალური
საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

SAKPATENTI
NATIONAL INTELLECTUAL PROPERTY
CENTER OF GEORGIA

www.sakpatenti.org.ge

გამოგონება და სასარგებლო მოდელები




გამომცემელი:

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“

3300, მცხეთა, საქართველო, ანტიოქიის ქ. №5

ტელ.: +995 32 2252533; ელ. ფოსტა: info@sakpatenti.org.ge

www.sakpatenti.org.ge

 <https://facebook.com/sakpatenti.ge/>

საავტორო უფლება © საქპატენტი 2016

ყველა უფლება დაცულია

რა არის პატენტი?

პატენტის მფლობელის სახელზე გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მისი გაცემის მომენტისათვის პატენტის მფლობელის განსაკუთრებულ უფლებას, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული დროით მინიჭებულ მონოპოლიურ უფლებას, რომლის საფუძველზეც პატენტის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ პირს აუკრძალოს პატენტით დაცული გამოგონებით ან სასარგებლო მოდელით დაცული ობიექტის გამოყენება.

რა არის გამოგონება?

ტექნიკური პრობლემის ახლებური გადაწყვეტა, რომელიც შეიძლება ეხებოდეს პროდუქტს ან პროდუქტის მიღების ტექნოლოგიას.

რა არის სასარგებლო მოდელი?

მცირე გამოგონება, რომელიც წარმოადგენს გაუმჯობესებულ მოწყობილობას, ნივთიერებას ან ხერხს და რომელიც ხასიათდება გამოგონებასთან შედარებით ნაკლები საგამომგონებლო დონით.

რაზე გაიცემა პატენტი?

გამოგონებაზე/სასარგებლო მოდელზე, რომლის ობიექტს წარმოადგენს:

- მოწყობილობა (მანქანა-მექანიზმები, დანადგარები, ხელსაწყოები, ელექტრონული სქემები და ა.შ.);
- ნივთიერება (ხსნარები, შენადნობები, ქიმიური ნაერთები და ა.შ.);
- ბიოლოგიური მასალა (მიკროორგანიზმების შტამები, მცე. ხერხი (ტექნოლოგიური პროცესები, ილეთები, ოპერაციები და ა.შ.);
- ტექნიკის არსებული დონიდან ცნობილი პროდუქტის ახალი დანიშნულებით გამოყენება.

როგორ გამოგონებას იცავს პატენტი?

გამოგონებას/სასარგებლო მოდელს რომელიც აკმაყოფილებს სამ კრიტერიუმს (პატენტუნარიანობის კრიტერიუმები): სიახლე, საგამომგონებლო დონე და სამრეწველო გამოყენებადობა. გამოგონებას/მოდელს აქვს:

სიახლე, თუ იგი ცნობილი არ არის ტექნიკის არსებული დონე. ტექნიკის დონეს განსაზღვრავს ყველა ის მონაცემი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია წერილობით, ზეპირი აღწერით, საჯარო გამოყენებით ან სხვა გზით გამოგონების პრიორიტეტის თარიღამდე.

საგამომგონებლო დონე, თუ იგი სპეციალისტისათვის ცხადად არ გამომდინარეობს ტექნიკის არსებული დონიდან;

სამრეწველო გამოყენებადობა, თუ შესაძლებელია მისი დამზადება ან მისით სარგებლობა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა სფეროებში.

როგორ გამოგონებაზე არ გაიცემა პატენტი?

გამოგონებაზე/სასარგებლო მოდელზე, რომელიც:

- ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს;
- ეხება ადამიანებისა და ცხოველებისათვის გათვალისწინებული მკურნალობის ქირურგიულ, თერაპიულ და დიაგნოსტიკურ ხერხებს. ეს წესი არ ვრცელდება მონყობილობებსა და ნივთიერებებზე, რომლებიც გამოიყენება აღნიშნულ ხერხებში;
- ეხება მცენარეთა და ცხოველთა ჯიშებს, აგრეთვე, მცენარეთა და ცხოველთა ჯიშის გამოყვანის უპირატესად ბიოლოგიურ ხერხებს. ეს წესი არ ვრცელდება მიკრობიოლოგიურ ხერხებსა და ამ ხერხებით მიღებულ პროდუქტებზე.

გამოგონებად/სასარგებლო მოდელად არ მიიჩნევა:

- აღმოჩენა, სამეცნიერო თეორია, მათემატიკური მეთოდი;
- მხატვრული ქმნილება;
- ალგორითმები, კომპიუტერული პროგრამა;
- აღზრდის, სწავლების მეთოდი და სისტემა, ენის გრამატიკული სისტემა, გონებრივი ოპერაციების შესრულების მეთოდები, თამაშობების, გათამაშების წესები;
- საქმიანობის და ორგანიზების მართვის მეთოდი;
- ნაგებობის, შენობის, ტერიტორიის დაგეგმარების პროექტი და სქემა;
- ინფორმაციის წარდგენა.

რა არის პრიორიტეტი და რა თარიღით ხდება მისი დადგენა?

უპირატესობა, რომელიც აქვს განაცხადს მასზე გვიან შეტანილ განაცხადთან შედარებით და რომლის შემდგომ გამოქვეყნებული ინფორმაცია სიახლის ან საგამომგონებლო დონის გასაბათილებლად მხედველობაში არ მიიღება.

პრიორიტეტი განისაზღვრება განაცხადის საქპატენტში შეტანის თარიღით.

პარიზის კონვენციისა და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთ მონაწილე ქვეყანაში წარდგენილი განაცხადის საფუძველზე, განმცხადებელს ან მის უფლებამონაცვლეს უფლება აქვს პირველი განაცხადის შეტანიდან 12 თვის განმავლობაში საქპატენტში წარადგინოს განაცხადი და მოითხოვოს პირველ განაცხადზე მოპოვებული პრიორიტეტის უფლების გამოყენება. განმცხადებელმა, ასევე, შეიძლება ისარგებლოს საგამოფენო პრიორიტეტით, ასეთ დროს განმცხადებელი ვალდებულია განაცხადი საქპატენტში წარადგინოს პარიზის კონვენციის და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრ ქვეყანაში მონაცემი ოფიციალურ ან ოფიციალურად მიჩნეულ საერთაშორისო გამოფენაზე გამოგონების ექსპონირების თარიღიდან 6 თვის ვადაში.

რა არის პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებები?

პატენტის მფლობელს შეუძლია აუკრძალოს სხვა პირებს თავისი ნებაართვის გარეშე:

- პატენტით დაცული პროდუქტის დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარად ჩართვა;
- პატენტით დაცული ხერხის გამოყენება ან გასაყიდად შეთავაზება;
- პატენტით დაცული ხერხით უშუალოდ მიღებული პროდუქტის გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარად ჩართვა.

როგორ შეიძლება პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების გამოყენება?

პატენტის მფლობელს უფლება აქვს:

- განკარგოს პატენტით მინიჭებული უფლება (განსაკუთრებული უფლება):

- გასცეს ექსკლუზიური ან არაექსკლუზიური კერძო ლიცენზია (რაოდენობა არ არის შეზღუდული). ექსკლუზიური კერძო ლიცენზია ლიცენზიის გამცემს უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის გაცემის უფლებას;
- გამოაცხადოს ღია ლიცენზირების რეჟიმი, რაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლებას აძლევს, გამოიყენოს პატენტი პატენტის მფლობელის მიერ დადგენილი პირობებით. ღია ლიცენზია შეიძლება იყოს მხოლოდ არაექსკლუზიური.

არსებობს თუ არა პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებულ უფლებათა რაიმე შეზღუდვა?

კანონმდებლობა ითვალისწინებს პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების შეზღუდვას. დარღვევად არ მიიჩნევა:

- პატენტის მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით დამზადებული პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში ჩართვის შემდეგ გავრცელება ან სხვაგვარად გამოყენება;
- გამოგონების კერძო წესით გამოყენება პირადი სარგებლობისათვის, თუ ქმედება არ ისახავს სამეცნიერო მიზნებს;
- გამოგონების რომელიმე ქვეყნის საზღვაო ხომალდზე, საჰაერო ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე გამოყენება მისი საქართველოს ტერიტორიაზე დროებით ყოფნის დროს. ასეთ შემთხვევაში გამოგონება უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ ამგვარ სატრანსპორტო საშუალებაზე და არა მეცნიერებისათვის;
- გამოგონების გამოყენება სტიქიური უბედურების, კატასტროფის, ეპიდემიის ან სხვა საგანგებო ვითარების დროს.

როგორია პატენტის მოქმედების ვადა და არეალი?

გამოგონების პატენტის ვადა არის – 20 წელი, სასარგებლო მოდელის – 10 წელი, განაცხადის შეტანის დღიდან და ვრცელდება მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე.

განმცხადებელი განსაკუთრებულ უფლებებს მოიპოვებს პატენტის გაცემის დღიდან.

განაცხადის გამოქვეყნების დღიდან პატენტის გაცემამდე განმცხადებელს პირობითად ენიჭება იგივე უფლებები, რაც მას მინიჭებული ექნებოდა პატენტით. თუ პატენტი არ იქნება გაცემული, მაშინ აღნიშნული უფლებები წარმოქმნილად არ მიიჩნევა.

ვის აქვს პატენტის მიღების უფლება?

- გამომგონებელს ფიზიკურ პირს, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი შრომის შედეგად შეიქმნა გამოგონება ან სასარგებლო მოდელი (თუ გამოგონება ან სასარგებლო მოდელი რამდენიმე პირის ერთობლივი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია, თითოეული მათგანი მიიჩნევა გამომგონებლად), ან მის უფლებამონაცვლეს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს);
- დამსაქმებელს ან შემკვეთს, თუ გამოგონება ან სასარგებლო მოდელი შექმნილია დასაქმებულის ან შეკვეთის მიმღების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ან შეკვეთის შესრულების შედეგად.

რა არის საჭირო საქართველოში პატენტის მისაღებად?

განაცხადი უნდა წარედგინოს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტს“, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- დადგენილი ფორმით შედგენილ განცხადებას პატენტის მიღების თაობაზე;
- გამოგონების ან სასარგებლო მოდელის აღწერილობას, რომელშიც იმდენად ნათლად უნდა იყოს გადმოცემული გამოგონების არსი და მისი განხორციელების შესაძლებლობა, რომ შესაძლებელი იყოს გამოგონების რეალიზება დარგის სპეციალისტის მიერ;
- დეკლარაციის მიერ გაცემულ ბიოლოგიური მასალის დეკონირების დამადასტურებელ დოკუმენტს, თუ განაცხადი ეხება ბიოლოგიურ რეპროდუცირებად მასალას;
- გამოგონების ან სასარგებლო მოდელის ფორმულას, რომელიც განსაზღვრავს გამოგონების/სასარგებლო მოდელის დაცვის ფარგლებს;
- ნახაზებს და სხვა მასალებს, თუ ისინი აუცილებელია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის აღწერილობაში გადმოცემული არსის ასახსნელად;

- საინფორმაციო ხასიათის რეფერატს, რომელიც გამოგონების მოკლე აღწერაა;
- თუ განაცხადი წარდგენილია გამომგონებლის უფლებამონაცვლის მიერ, უფლებამონაცვლეობის დამადასტურებელ საბუთს;
- განაცხადი უნდა ეხებოდეს ერთ გამოგონებას ან ერთ სასარგებლო მოდელს, ამასთან, შეიძლება შეიცავდეს ერთ საგამომგონებლო იდეით გაერთიანებულ გამოგონებათა ჯგუფს;
- განაცხადი საქპატენტში შეტანილად ჩაითვლება იმ დღიდან, როდესაც წარდგენილია შემდეგი მასალები: განცხადება პატენტის მისაღებად, აღწერილობა, ფორმულა და ნახაზები, თუ ისინი აუცილებელია გამოგონების ან სასარგებლო მოდელის არსის ასახსნელად.

რა ენაზე უნდა იყოს შედგენილი განაცხადი?

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში – „საქპატენტი“, განცხადება მიიღება საქართველოს სახელმწიფო ენაზე. სხვა საგანაცხადო მასალები შეიძლება წარდგენილი იყოს უცხოურ ენაზე; ამასთან, საგანაცხადო მასალების სხვა ენაზე წარდგენის შემთხვევაში განმცხადებელმა შეტანიდან ორი თვის ვადაში უნდა უზრუნველყოს ქართული თარგმანის წარდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი შეტანილად არ მიიჩნევა.

რა პროცედურებს ითვალისწინებს პატენტის გაცემა?

- განაცხადის შეტანის თარიღის დადგენა;
- ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, რომელიც ითვალისწინებს საგანაცხადო მასალების სისრულისა, ასევე, განცხადების გაფორმების სიზუსტისა და სისწორის შემოწმება;
- არსობრივ ექსპერტიზას, რომლის დროსაც მოწმდება აკმაყოფილებს თუ არა განაცხადი და გამოგონება კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, განსაკუთრებით პატენტუნარიანობის კრიტერიუმებს;
- გადაწყვეტილების მიღებას პატენტის გაცემის თაობაზე;
- დადებითი გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში მონაცემების გამოქვეყნებას საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში;

- თუ გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში საქპატენტის სააპელაციო პალატაში ან გამოქვეყნებიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში სასამართლოში არ გასაჩივრდა საქპატენტის გადაწყვეტილება პატენტის გაცემის თაობაზე, საქპატენტი პატენტის გაცემის შესახებ მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენში, ახორციელებს რეგისტრაციას სამრეწველო საკუთრების რეესტრში და გაცემს საპატენტო სიგელს.

როდის მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება პატენტის გაცემის თაობაზე?

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტს“ გამოაქვს უარყოფითი გადაწყვეტილება თუ განაცხადი:

- ეხება ისეთ ობიექტებს, რომლებიც საპატენტო კანონის შესაბამისად არ მიიჩნევა გამოგონებად ან სასარგებლო მოდელად;
- ეხება გამოგონებას ან სასარგებლო მოდელს, რომელზეც საპატენტო კანონის თანახმად პატენტი არ გაიცემა;
- არ აკმაყოფილებს სიახლის კრიტერიუმს;
- გამოგონების ფორმულისა და აღწერილობის მიხედვით არ იძლევა დაცვის ობიექტის დადგენის შესაძლებლობას, კერძოდ:
 - ა) არ აკმაყოფილებს სამრეწველო გამოყენებადობის კრიტერიუმს;
 - ბ) არ არის აღწერილი სათანადო სისრულით;
 - გ) შეიცავს ფორმულას, რომელიც არ გამომდინარეობს აღწერილობიდან;
 - დ) თავისი აღწერილობით და ფორმულით არ იძლევა საპატენტო კანონით გათვალისწინებული კვლევის ჩატარების შესაძლებლობას;
 - ე) შეიცავს ერთი დამოუკიდებელი მუხლით წარმოდგენილი გამოგონების ფორმულას, რომელშიც აღწერილია ერთზე მეტი გამოგონება და რომელიც არ იქნა დაყოფილი საქპატენტის მოთხოვნით ან განმცხადებლის ინიციატივით;
 - ვ) ეხება გამოგონების პირველადი აღწერილობიდან გამოცალკევებულ განაცხადს, რომლის არსი არ არის მოცემული პირველად აღწერილობაში.
 - ზ) არ აკმაყოფილებს საგამომგონებლო დონის კრიტერიუმს.

რისი უფლება აქვს განმცხადებელს?

- დაყოს წარდგენილი განაცხადი მასში შემავალ ნაწილებად და წარადგინოს გამოცალკევებული განაცხადი;
- გააერთიანოს განაცხადები და წარადგინოს გაერთიანებული განაცხადი;
- მოითხოვოს საგანაცხადო მასალებში ცვლილებების შეტანა, თუ ეს ცვლილებები არ სცილდება გამოგონების არსს;
- განაცხადი გამოგონებაზე გარდაქმნას განაცხადად სასარგებლო მოდელზე და პირიქით;
- მოითხოვოს განაცხადზე საქმისწარმოების შეჩერება;
- მოსთხოვოს საქპატენტს პასუხის გაცემისათვის დადგენილი ვადის გაგრძელება;
- მოითხოვოს ვადის დარღვევის გამო განაცხადთან დაკავშირებული დაკარგული უფლებების აღდგენა; გაასაჩივროს ექსპერტიზის გადანყვეტილება მისი ოფიციალურად გაცნობიდან 3 თვის ვადაში სააპელაციო პალატაში.



რა არის პატენტის გაუქმების და ბათილად ცნობის საფუძველი?

პატენტს აუქმებს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“:

- პატენტის მფლობელის განცხადების საფუძველზე;
- პატენტის მფლობელის მიერ პატენტის ძალის შენარჩუნების წლიური საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში. პატენტის მფლობელს შეუძლია პატენტის ძალის შენარჩუნების წლიური საფასურის ვადის გასვლიდან 6 თვეში გადაიხადოს მომდევნო წლით პატენტის ძალის შენარჩუნების საფასური, რაც გაუქმებული პატენტის აღდგენას გამოიწვევს. აღნიშნული ვადის გასვლიდან მომდევნო 6 თვის განმავლობაში დასაშვებია გაუქმებული პატენტის მოქმედების აღდგენა, თუ პატენტის მფლობელი გადაიხდის პატენტის მოქმედების აღდგენისა და ძალის შენარჩუნების საფასურს;
- გამოგონებაზე ხელახალი ექსპერტიზის გადანიშნულების საფუძველზე.

პატენტს ბათილად ცნობს სასამართლო, თუ დადგინდა, რომ:

- პატენტის საგანი არ არის პატენტუნარიანი;
- პატენტი არ აღწერს გამოგონებას ან სასარგებლო მოდელს ისეთი სისრულით, რომ შესაძლებელი იყოს მისი განხორციელება;
- პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ ობიექტებს, რომლებზედაც ამ კანონის თანახმად პატენტი არ გაიცემა;
- პატენტის საგანი განეკუთვნება ისეთ ობიექტს, რომელიც გამოგონებად არ მიიჩნევა;
- პატენტის საგანი სცილდება იმ განაცხადის შინაარსის ფარგლებს, რომელსაც დაუდგინდა პრიორიტეტი, ან პატენტი გაცემულია გამოცალკევებული განაცხადის საფუძველზე და მისი საგანი სცილდება პირველადი განაცხადის შინაარსის ფარგლებს;
- თუ პატენტის მფლობელს არ ჰქონდა უფლება პატენტზე.

რა საფასურები უნდა იქნეს გადახდილი პატენტის მისაღებად და შესანარჩუნებლად?


- ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის საფასური;
- არსობრივი ექსპერტიზის საფასური;
- გამოქვეყნების საფასური;
- პატენტის გაცემის საფასური;
- ყოველწლიურად ძალის შენარჩუნების საფასური;
- განმცხადებლისა და პატენტმფლობელის მოთხოვნით განაცხადის მასალებში შესწორებებისა და ცვლილებების, განაცხადის განხილვის შეჩერების, შეტყობინება-მოთხოვნაზე პასუხის ვადის გაგრძელების, რეესტრში ცვლილებების შეტანისა და სხვა მოთხოვნების საფასური.

როგორ უნდა დააპატენტოს საქართველოს მოქალაქემ ან რეზიდენტმა პირმა (იურიდიული ან ფიზიკური პირი) გამოგონება/სასარგებლო მოდელი საზღვარგარეთ?

- განაცხადი შეიტანოს უშუალოდ იმ ქვეყნის საპატენტო უწყებაში, სადაც მას სურს პატენტის მიღება;
- იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ქვეყანა არის რომელიმე რეგიონალური შეთანხმების მონაწილე (მაგ.: ევროპის საპატენტო კონვენცია, ევრაზიის საპატენტო კონვენცია და სხვ.), განაცხადის შეტანა შესაძლებელია შესაბამის რეგიონალურ უწყებაში;
- დაპატენტება შესაძლებელია საპატენტო კოოპერაციის შესახებ ხელშეკრულებით (PCT) გათვალისწინებული პროცედურების საფუძველზე. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებს მიმღებ უწყებაში (საქართველოს შემთხვევაში ასეთ უწყებას წარმოადგენს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – „საქპატენტი“) საერთაშორისო განაცხადის შეტანას, რაც შესაძლებელს ხდის საპატენტო დაცვის მოპოვებას “PCT”-ის მონაწილე ნებისმიერ ქვეყანაში.

რა არეგულირებს პატენტებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს საქართველოში?

- საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლი;
- „საქართველოს საპატენტო კანონი“ (1999 წელი);
- საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებულება „საიდუმლო გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის დაცვისა და გამოყენების შესახებ“;
- საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ თავმჯდომარის #4 ბრძანებით დამტკიცებული “გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის განაცხადის გაფორმებისა, წარდგენისა და პატენტის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ” ინსტრუქცია;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის #182 დადგენილება;
- სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (საქართველო წევრია 1991 წლიდან);
- საპატენტო კოოპერაციის ხელშეკრულება PCT (საქართველო წევრია 1991 წლიდან);
- ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმება „ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ“ (TRIPS) შეთანხმება (საქართველო წევრია 2000 წლიდან);
- საქართველოს სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
- სისხლის სამართლის კოდექსის 1891-ე მუხლით.

The background of the entire page is a complex, abstract pattern of various yellow geometric shapes. These shapes include circles of different sizes, squares, rectangles, triangles, and rounded rectangles, arranged in a non-repeating, organic fashion. The shapes are solid yellow and vary in orientation and placement, creating a dynamic and modern visual texture.

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების
ეროვნული ცენტრის – „საქპატენტი“ პოლიგრაფია
0179, თბილისი, საქართველო, ნ. რამიშვილის ქ. №31
ტელ.: +995 32 2252533, info@sakpatenti.org.ge

ISBN 978-9941-0-1056-9